ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N 01-02/11 ბრძანების

დანართი 1

(კოდიფიცირებულია ცვლილებებით/დამატებებით:
19.11.2019 წლის N01-02/179 ; 19.02.2020 წლის N01-02/22
09.06.2020 წლის N N01-02/56 ; 24.06.2022 წლის N01-02/149;
25.10.2022 წლის N01-02/253;
01.02.2023 წლის N01-02/23 ;
14.02.2023 წლის N01-02/34
17.03.2023 წლის N01-02/50 და
05.05.2023 წლის N01-02/91 ბრძანებებით)

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“ ან ,,უნივერსიტეტი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდეგში ,,პროგრამა“) განხორციელების, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. საკითხები, რომლებსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე წესი, რეგულირდება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებებით, ბსუ-ს მართვის ორგანოთების აქტებით, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის **(შემდეგში - ,,ცენტრი“)** დებულებით ან/და ბსუ-ს რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი მტკიცდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

4. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

5. ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტებზე და პროფესიული განათლების მასწავლებლებზე ვრცელდება ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი რეგულაციები და სერვისები (ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი, საქმისწარმოების ინსტრუქცია და სხვა), თუკი წინამდებარე წესით ან/და რექტორის ბრძანებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადება და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება (ჩარიცხვა)

1. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, რომელშიც აისახება:
ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;
ბ) ჩარიცხვის პირობები და მისაღები კონტინგენტი;
გ) წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა;
დ) დოკუმენტების წარმოდგენის ვადა და ადგილი (ფორმა);
ე) ხელშეკრულების გაფორმებისა და ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის ვადა.
2. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსს პირი მოიპოვებს ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად გამოცემული ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანება მზადდება შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების შედეგად (ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს, ხოლო მეორე ეგზემპლიარი ინახება ბსუ-ში, პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში).
3. ბსუ-ს შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მუხლი 3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა (შემდეგში ,,სსსმ") პირი, რომელსაც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და შეზღუდული შესაძლებლობა და რომელიც საჭიროებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას ან/და დამატებით სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.
2. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ აპლიკანტთა ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. სსსმ აპლიკანტს ტესტირებაში მონაწილეობის მიღების უფლება წარმოეშობა ექსპერტთა გუნდის დასკვნის საფუძველზე.
4. რეგისტრაციის შემდეგ ტესტირებამდე სსსმ აპლიკანტი ვალდებულია ბსუ-ს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) ექსპერტთა გუნდის დასკვნა, რომლითაც დასტურდება სსსმ აპლიკანტის სპეციალური/დამატებითი საგანმანათლებლო საჭიროება, დამოწმებული ექსპერტთა გუნდის მინიმუმ სამი წევრის ხელმოწერით;
ბ) ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც სსსმ აპლიკანტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ცალკეულ კლასში/სემესტრში ან საფეხურის ბოლო კლასში, დამოწმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ხელმოწერებით;
გ) სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში: 1. აუდიოგრამა (სმენის დარღვევისას); 2. ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ცნობა (მხედველობის დარღვევისას); 3. შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემულ სამედიცინო ცნობა, ქცევითი და ემოციური აშლილობისას; 4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. სსსმ აპლიკანტის ტესტირებას ორგანიზებას გაუწევს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი.

6. სსსმ აპლიკანტის ტესტირება მოიცავს მის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი/შემდგომი საფეხურის შესატყვისი აქტივობების პრაქტიკულ მოსინჯვას.

7. პრაქტიკული მოსინჯვის განხორციელების მიზნით ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის წარდგინებით ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ.

8. ტესტირების (პრაქტიკული მოსინჯვის) საფუძველზე სსსმ აპლიკანტის შეფასების წესი რეგულირდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ტესტირების შედეგები და დამადასტურებელი დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში გადაეგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

10. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა აპლიკანტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (თუ აპლიკანტი არასრულწლოვანია, ქმედუუნაროა/შეზღუდულ ქმედუნარიანია, ხელშეკრულება გაფორმდება მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან).

11. სსსმ აპლიკანტის ბსუ-ს შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის საქმისწარმოების მასალები

1. პროფესიული სტუდენტის საქმისწარმოების მასალები მოიცავს ამ სტუდენტის პირად საქმეს და პროფესიულ პროგრამაზე მის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციას.

2. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმის წარმოება ხორციელდება ცენტრის შესაბამისი სპეციალისტის მიერ, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვით.

3. პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში უნდა განთავსდეს:

ა) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;

ბ) **სარეგისტრაციო განცხადება** (არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - განმცხადებლის/ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის პირადობის მოწმობის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის სათანადო უფლებამოსილებას წარმომადგენლობაზე (დაბადების მოწმობა/მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი);

გ) ფოტოსურათი ¾ (მათ შორის ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენილი);

დ) შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის საჭირო, კანონმდებლობით განსაზღვრული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (საბაზო განათლების/ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი/პროფესიული განათლების დიპლომი ან უმაღლესი განათლების დიპლომი);

ე) მომდევნო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირის წინა საფეხურის პროფესიული დიპლომის ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტის ასლი;

ვ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი ან სამხედრო ბილეთი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის);
ზ) ხელშეკრულება და ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის ასლი;
თ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის/საჭიროების შემთხვევაში);
ი) პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები;
კ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები (სასწავლო ბარათი/შეფასების აქტები/უწყისები/კრედიტების აღიარების/განათლების აღიარების/პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი და სხვა);
ლ) კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის (სტანდარტული დანართის) გაცემის სამართლებრივი აქტები და გაცემული დიპლომის (ასევე დუბლიკატის) ასლი;
მ) წახალისებისა და დისციპლინური საქმისწარმოების სამართლებრივი აქტები და მასალები (არსებობის შემთხვევაში);
ნ) პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში განსათავსებელი, საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები (სახელის ან გვარის შეცვლის, დაჯილდოების, საუნივერსიტეტო პროექტებში მონაწილეობის და სხვა);

4. პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია/მტკიცებულებები ინახება: *(ცვლილება - 19.02.2020 წლის N01-02/22 ბრძანებით)*

ა) ტესტი, წერითი ნაშრომი, შექმნილი პროდუქტი, დაკვირვების ჩანაწერი, ფოტო სურათები, ვიდეო ჩანაწერი, პრაქტიკის დღიური, პორტფოლიო, შევსებული შეფასების სქემა (Checklist), წერილობითი ანგარიშები და შეფასების სხვა მტკიცებულებები - ცენტრში, სტუდენტისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ კი ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ბ) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები - ცენტრში, პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ გადაეცემა ბსუ-ს კანცელარიას (ბსუ-ს საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად 25 წლის ვადით შენახვის მიზნით)

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;
ბ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს შეფასების შედეგი;
გ) მიიღოს სასწავლო კურსების/მოდულების სილაბუსები, სრულყოფილი ინფორმაცია (კონსულტაცია) უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების (მოდულების), შეფასების მეთოდოლოგიის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საკითხზე;
დ) ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით;
ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;
ვ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული

საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

ზ) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;

თ) სასამართლოში გაასაჩივროს ბსუ-ს მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

ი) ისარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და სხვა სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებებით.

2. **პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:**

ა) შეასრულოს ბსუ-ს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები;

ბ) დაიცვას პროფესიულ სტუდენტსა და ბსუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობები, ბსუ-ს წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება მიზეზის მითითებით (მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი); *(ცვლილება - 19.02.2020 წლის N01-02/22 ბრძანებით)*

ბ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისა); *(ცვლილება - 19.02.2020 წლის N01-02/22 ბრძანებით)*

დ) პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა;

დ[1]) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება ბსუ-სა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობის შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეწყვეტის გარეშე. *(დამატება - 19.02.2020 წლის N01-02/22 ბრძანებით)*

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა (სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა ან აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა ან სხვა), რაც გამორიცხავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესში მონაწილეობას და პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

2. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით პროფესიულმა სტუდენტმა უნდა მიმართოს განცხადებით რექტორს. *(ცვლილება - 19.02.2020 წლის N01-02/22 ბრძანებით)*

3. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური პროგრამის) შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შესაბამის პერიოდში სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა უნდა შეთანხმდეს შესაბამის სასწავლო საწარმოსთან.

4. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების ძალადაკარგულად ცნობისა (პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის) და სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემდგომ, რაც საფუძვლად დაედო სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოცემას. *(ცვლილება - 19.02.2020 წლის N01-02/22 ბრძანებით)*

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულება (პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება);

გ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა; *(ცვლილება - 19.11.2019 წლის N01-02/179 ბრძანებით)*

დ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

$დ^1$)პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5- წლიანი ვადის გასვლა; *(დამატება - 19.02.2020 წლის N01-02/22 ბრძანებით და ცვლილება - 01.02.2023 წლის N01-02/23 ბრძანებით)*

ე) გარდაცვალება;

ვ) შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამოუცხადებლობა და გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ წერილობითი ინფორმაციის უნივერსიტეტისათვის წარმოუდგენლობა;

$ვ^1$) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე; *(დამატება - 19.11.2019 წლის N01-02/179 ბრძანებით)*

ზ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ -,,ზ“ ქვპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის შემთხვევაში, ცენტრის დერექტორის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწვეტის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის ხელახლა მოპოვება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. სასწავლო პროცესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის განრიგი განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, სადაც მიეთითება თეორიული/პრაქტიკული მეცადინეობების, საწარმოო პრაქტიკის დაწყების/დასრულების და კვალიფიკაციის მინიჭების თარიღები.

2. მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი მეცადინეობების სასწავლო ცხრილების შესაბამისად, რომელსაც ადგენს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და მტკიცდება ცენტრის დირექტორის მიერ. ცხრილი სწავლის დაწყებისთანავე განთავსდება ცენტრის საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობები ტარდება ყოველდღე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე შაბათი, როგორც სასწავლო დღე. დუალური სწავლების შემთხვევაში სტუდენტი საწარმოში შესაძლოა მუშაობდეს განსხვავებული გრაფიკით, შრომის კოდექსისა და საწარმოს შინაგანაწესის გათვალისწინებით.

4. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ცვლაში ან გრაფიკით.

5. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

6. პროფესიულ პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

მუხლი 9. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას.

2. უნივერსიტეტი ქმნის ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობებს, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია.

3. ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნით უნივერსიტეტი საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით უზრუნველყოფს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

4. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილი ინტეგრირება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

5. სსსმ სტუდენტისთვის უნივერსიტეტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულს/საგანს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სსსმ სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის

საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სსსმ სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის/საგნის მოთხოვნებთან მიმართებით.

7. სწავლის დაწყებიდან **2-3 კვირის ვადაში** სასწავლო კურსის/მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს ცენტრს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო საჭიროებ(ებ)ის შესახებ.

8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა **იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის** განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად და წარედგინება ცენტრის დირექტორს **(დამოწმდება ცენტრის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით).**

9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების და სხვა რესურსის საჭიროებების შესახებ **წერილობით ინფორმაციას ცენტრს წარუდგნეს** ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც უნივერსიტეტში ივსება (გაცდენები, შეფასებები, დახასიათება და ა.შ.) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აზუსტებს ამ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველს.

11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

მუხლი 10. სტუდენტის მიღწევების შეფასება და გასაჩივრება (*ცვლილება - 01.02.2023 წლის N01-02/23; 24.06.2022 წლის N01-02/149,* 25.10.*2022 წლის N01-02/253 და 17.03.2023 წლის N01-02/50 ბრძანებებით)*

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს შესაფასებელი პირის მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის (კომპეტენციის) შეფასებას, მოდულით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

2. მოდულის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად უნდა შეფასდეს მოდულით მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი.

3. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით. სწავლის შედეგის მიღწევა ერთი პროგრამის ფარგლებში დასტურდება მხოლოდ ერთხელ. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულის მიმდინარეობის პროცესში.

4. პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, მათ შორის:

ა) განმავითარებელი შეფასება ხორციელდება მიმდინარე და შუალედური შეფასებისას, მოდულის განმახორციელებელი პირის (პროფესიული განათლების მასწავლებელი)

გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. მოდულის განმახორციელებლი ვალდებულია განმავითარებელი შეფასების პრინციპის შესახებ წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტებს;

ბ) განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების მიზნით, ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: 1. სწავლის შედეგი დადასტურდა; ან 2. სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

5. სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში უნდა დადასტურდეს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები. აღნიშნულის არ/ვერ დადასტურება ითვლება სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და მას არ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

6. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს ცენტრს და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება, სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, სხვა შემთხვევაში, განმეორებით/დამატებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობა ითვლება სწავლის შედეგის მიუღწევლობად. ცენტრის დირექტორი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი/დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს, წინმსწრები მოდულის/მოდულების გათვალისწინებით.

7. ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე სტუდენტის/სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება განმეორებითი შეფასების ორგანიზება, ცენტრი უფლებამოსილია ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე ერთი კვირით გადაავადოს მომდევნო მოდულის სწავლების დაწყება სასწავლო პროცესის სხვა მოდულის საათებით დარეგულირების ხარჯზე.

8. შეზღუდული შესაძლებლობისა და სსსმ პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის /წინაპირობების დაძლევის გარეშე.

9. შესაძლებელია: ა) სწავლის შედეგების შეფასება ჩატარდეს ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს; ბ) რამდენიმე სწავლის შედეგი ერთდროულად შეფასდეს.

10. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

11. დუალური სწავლების შემთხვევაში ან ისეთი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, რომლებიც ითვალისწინებენ კლინიკურ სწავლებას („საექთნო განათლება“, „ვეტერინარია“ და სხვა) უნივერსიტეტსა და სასწავლო საწარმოს/კლინიკას შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი მუშაობს საწარმოში/კლინიკაში, აწარმოებს „პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს“ (წინამდებარე წესზე თანდართული **N8 ფორმის** შესაბამისად), რომელსაც ამოწმებს კლინიკური მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ან/და ინსტრუქტორი და უდასტურებს სწავლის შედეგებს.

12. დუალური სწავლების შემთხვევაში, პირველი სასწავლო წლის ბოლოს ტარდება შუალედური გამოცდა, სასწავლო საწარმოში პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის გაანალიზებისა და პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავების მიზნით.

13. შეფასების თაობაზე ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტს მიეწოდება პროფესიული მასწავლებლის მიერ შეფასების ჩატარების დღიდან მაქსიმუმ 3 კალენდარული დღის ვადაში. შედეგების გაცნობის დროს დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია კონკრეტული სტუდენტის შეფასება გასაჯაროვდეს ჯგუფში, სტუდენტის თანხმობის გარეშე (სიტყვიერი ან წერილობითი). ასეთ შემთხვევაში ჯგუფში შედეგები უნდა იქნას განხილული განზოგადებულად, ხოლო კონკრეტული სტუდენტის შედეგები - ინდივიდუალურად.

14. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, წერილობითი საჩივარი წარადგინოს ცენტრის დირექტორის სახელზე, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა პროფესიული განათლების მასწავლებელს იმავე, ან მომდევნო სამუშაო დღეს. პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით საჩივარს განიხილავს 2 სამუშაო დღის ვადაში. სტუდენტის საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი უნდა გახდეს იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს.

15. გასაჩივრების ვადის დარღვევით შემოსული პროფესიული სტუდენტის განცხადება/აპელაცია, ასევე საჩივარი, რომელიც მოკლებული იქნება არგუმენტირებულ დასაბუთებას, დარჩება განუხილველი და აღნიშნულის შესახებ ცენტრის მიერ წერილობით ეცნობება პროფესიულ სტუდენტს. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

16. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი ფასდება ერთი შემფასებლის მიერ და პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, ცენტრის დირექტორის დავალებით ნაშრომის შეფასება დაევალება ცენტრის შესაბამისი დარგის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელს და/ან შესაბამის დარგის სპეციალისტს.

17. საჩივრის განმხილველი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა და ძალაში დატოვოს მიღებული შეფასება ან მიღებული შეფასება შეცვალოს პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ.

18. პროფესიული სტუდენტის საჩივრის დაკმაყოფილების და შეფასების მის სასარგებლოდ შეცვლის შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აღნიშნული ასახოს სტუდენტის შეფასების უწყისში.

მუხლი 10[1]. შუალედური შეფასება *(დამატება -17.03.2023 წლის N01-02/50 ბრძანებით)*

1. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების დონის დადგენა სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

2. შუალედური შეფასება არის სავალდებულო და წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.

3. პროფესიული სტუდენტი, რომელიც საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდა შუალედურ შეფასებისათვის განსაზღვრულ დროს, უფლებამოსილია დასაბუთებული განცხადებით მიმართოს შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფს, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ, არაუგვიანეს შუალედური შეფასების თარიღიდან 2 სამუშაო დღისა და წარუდგინოს მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს შესაბამის საპატიო მიზეზს.

4. განმეორებითი შუალედური შეფასება იმ პროფესიული სტუდენტისათვის, რომელიც საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდა შუალედურ შეფასებისათვის

განსაზღვრულ დროს, უნდა ჩატარდეს შუალედური შეფასების დასრულებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

5. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც შუალედურ შეფასებაზე (მათ შორის, განმეორებით შუალედურ შეფასებაზე) არ გამოცხადდება, შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

6. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების რეგულაცია განსაზღვრულია ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესით.

მუხლი 11. შესრულების მტკიცებულება და შეფასების გაფორმება

1. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან/და ელექტრონული სახით დადასტურებას. იგი უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. *(ცვლილება - 2022 წლის 24 ივნისის N01-02/149)*

2. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

3. შესრულების მტკიცებულებები მოდულის დასრულებამდე ინახება პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს ცენტრს.

4. სტუდენტის მიერ დადასტურებულ სწავლის შედეგებს პროფესიული განათლების მასწავლებელი აფორმებს ბსუ-ს რექტორის მიერ დამტკიცებულ უწყისში.

5. ამოღებულია *(ცვლილება - 2022 წლის 24 ივნისის N01-02/149)*

მუხლი 12. შეფასების ინსტრუმენტები და მათი ვალიდაცია (ცვლილება - *2022 წლის 24 ივნისის N01-02/149)*

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას. *(ცვლილება - 2022 წლის 24 ივნისის N01-02/149)*

2. შეფასების ინსტრუმენტი (დანართი 1) უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;

ბ) მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი;

გ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი;

დ) პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი;

ე) შეფასების ჩატარების ადგილი;

ვ) შეფასების ჩატარების თარიღი;

ზ) სწავლის შედეგი; შესრულების კრიტერიუმები; შეფასების მიმართულება; შეფასების ინსტრუმენტი; შეფასების პროცესის აღწერა; შეფასების მტკიცებულება; შეფასების სქემა; დამატებითი პირობები; განმეორებითი შეფასების პროცედურები;

თ) შეფასების სწორი პასუხების ფურცელი.

3. შეფასების ინსტრუმენტის პროექტს (წინამდებარე წესის **ფორმა N1)** ადგენს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი. შეფასების

მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება. *(ცვლილება -24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*

4. შედგენილი შეფასების ინსტრუმენტის პროექტს (წინამდებარე წესის ფორმა N1) ვალიდაციის მიზნით, პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების განხორციელებამდე 10 სამუშაო დღით ადრე, წარუდგენს ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, რომელიც ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტების თავსებადობას მოდულთან მიმართებაში. *(ცვლილება -24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*

5. ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ვალდებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტის პროექტი შეითანხმოს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა და აღნიშნული ქმედებით დაადასტუროს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობა ან რეკომენდაციებით და წინადადებებით დაუბრუნოს პროფესიული განათლების მასწავლებელს (შეავსოს წინამდებარე წესის **ფორმა N2** - შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი/ტექნიკური მხარის შემოწმება). პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შეფასების განხორციელებამდე 3 სამუშაო დღით ადრე ხელახლა წარმოადგინოს შეფასების ინსტრუმენტები რეკომენდაციების გათვალისწინებით. *(ცვლილება -24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*

6. ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში ჩართოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და სხვა პროფესიული განათლების მასწავლებლები. *(ცვლილება -24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*

7. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შეფასების მტკიცებულებები ცენტრში წარმოადგინოს შეფასების ჩატარებიდან ინსტრუმენტების გამოყენების (პროფესიული სტუდენტის შეფასების) შემდეგ, წინამდებარე წესის N1 ფორმის შესაბამისად შედგენილი (შევსებული) დოკუმენტები არაუგვიანეს 10 დღეში წარუდგინოს ცენტრის სასწავლო პროცესის მენეჯერს. *(ცვლილება -24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*

8. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი წარწერით „შეთანხმებულია“ და ვალიდატორის ხელმოწერით გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შეფასებისათვის. *(ცვლილება -24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*

9. ამოღებულია *(ცვლილება -24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*

10. ამოღებულია *(ცვლილება -24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*

11. ამოღებულია *(ცვლილება -24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*

12. ამოღებულია *(ცვლილება -24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*

13. ამოღებულია *(ცვლილება -24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*

14. ამოღებულია *(ცვლილება -24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*

15. ამოღებულია *(ცვლილება -24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*

მუხლი 12[1]. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი *(დამატება -24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*

1. ვერიფიკაცია არის ცენტრში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი (შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი).

2. ცენტრი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით:

ა) შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

ბ) პროცესის ვერიფიკაცია;

გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

3. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს/ინფორმაციას:

ა) შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა);

ბ) ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი;
გ) ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები;
დ) ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ).

4. ვერიფიკაციის პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რისკების რეესტრს **(წინამდებარე წესის თანდართული ფორმა N 3).**

5. რისკების ანალიზის საფუძველზე ხდება იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა, კერძოდ: დამწყები მასწავლებლის ფაქტორი; პრაქტიკული დავალებების სიმრავლე; ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა; საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება და სხვა.

6. ცენტრის დირექტორის წარდგინებით ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაში შედიან: ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის კოორდინატორი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და დარგის სპეციალისტები. ვერიფიკატორი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში.

7. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირი/პირები ახორციელებენ შემდეგ ფუნქციებს:
ა) ხარისხის მართვის მენეჯერი - ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს; ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში;
ბ) ხარისხის მართვის კოორდინატორი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში;
გ) დარგის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს (ერთი და იგივე დარგის სპეციალისტი ვერ განახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას);

8. შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია ხდება შერჩევით (ერთიდაიმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 30 პროცენტი). უარყოფითი შედეგების შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებები სრულად მოწმდება.

9. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს წინამდებარე **წესის N4 ფორმის** (შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემა) შესაბამისად გაწერილ ეტაპებს (თანმიმდევრობის დაცვა მნიშვნელოვანია).

10. ვერიფიკაციის პროცედურა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:
ა) ხარისხის მართვის მენეჯერი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში (საშემოდგომო მიღება) ადგენს ვერიფიკაციის გეგმას შერჩევის მექანიზმის შესაბამისად (წინამდებარე **წესის N3** - რისკების სისტემა);
ბ) შერჩეული ვერიფიკატორი/ვერიფიკატორები ახორციელებს/ახორციელებენ შეფასების პროცესზე დაკვირვებას წინამდებარე **წესის N5 ფორმის** (შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი) შესაბამისად;
გ) შერჩეული ვერიფიკატორი/ვერიფიკატორები ახორციელებს/ახორციელებენ სწავლების პროცესში საკონტაქტო საათებზე დასწრებას, წინამდებარე **წესის N6 ფორმის** (საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი) შესაბამისად;
დ) ჯგუფი ვალდებულია ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად წარმოადგინოს ვერიფიკაციის დასკვნა (წინამდებარე წესის **N7 ფორმის** შესაბამისად), მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს,

თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური;
ე) ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას ცენტრში სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით და პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის;
ვ) ვერიფიკაციის დასკვნის შედეგების საფუძველზე ცენტრი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელშიც სრულყოფილად აისახება ყველა ის აქტივობა, რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად, ასევე განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.";

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის მობილობა და მიღებული განათლების აღიარება
(ცვლილება- 19.02.2020 წლის N01-02/22 ბრძანებით)

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში (გარე მობილობა) და მის ფარგლებში ერთი პროფესიული ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანთლებლო პროგრამაზე (შიდა მობილობა) გადასვლის პროცედურას.
2. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა იმ პროფესიული სტუდენტებისა, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაწესებულებამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ან გაუვიდა ავტორიზაციის ვადა და შესაბამისად, მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად. ამ კატეგორიის სტუდენტების შემთხვევაში დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25 %-ით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას. *(ცვლილება - 01.02.2023 წლის N01-02/23 ბრძანებით)*
3. მობილობა ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. *(ცვლილება - 01.02.2023 წლის N01-02/23 ბრძანებით)*

4. ბსუ-ში პროფესიულ ან მოკლე ციკლის პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მოპოვება ხდება კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად.
4.1. მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ბსუ-ს რექტორს.
4.2. კრედიტების აღიარებისათვის მობილობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის

სტატუსისა და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ (გავლილი სასწავლო კურსების/მოდულების დამოწმებული სია).
5. პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ბსუ-ში ხორციელდება ცენტრის ადმინისტრირებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. კომისიის გადაწყვეტილებაში მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ცენტრი ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
6. პირი, რომელიც მოიპოვებს მობილობით ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებას, ვალდებულია წარმოადგინოს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაცია (მისი პირადი საქმისა და საგანმანათლებლო დოკუმენტების ასლები) და გააფორმოს ხელშეკრულება.
8. მობილობის მსურველთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება მობილობის საფუძველზე ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებო ან მოკლე ციკლის პროგრამაზე ამ პირის ჩარიცხვის შესახებ და ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება სისტემაში.
9. პროფესიული სტუდენტების მობილობის პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს ცენტრი.
10. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით. *(ცვლილება -24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*
11. ბსუ-ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტები მიიჩნევიან სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება წინამდებარე წესით დადგენილი პირობები.

მუხლი 14. ამოღებულია *(ცვლილება - 19.02.2020 წლის 01-02/22 ბრძანებით)*

მუხლი 14[1] . ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება *(დამატება - 24.06.2022 წლის N01-02/149 ბრძანებით)*

1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წინამდებარე მუხლი ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესსა და პროცედურას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის. აღნიშნული მუხლის რედაქცია შემუშავებულია „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის No121/ნ ბრძანების და „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის No120/ნ ბრძანების საფუძველზე.
2. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (შემდგომში – ფორმალური განათლების აღიარება) მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ აღიარებული

სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

3. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

4. ფორმალური განათლების აღიარება ბსუ-ში განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად.

5. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

6. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 1 თვეში.

7. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) განცხადების წარმოდგენა ბსუ-ში (ცენტრში);

ბ) კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება და გადაწყვეტილების მიღება;

გ) კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე სწავლის შედგენის აღიარების შესახებ ბსუ-ს რეტორის ბრძანების გამოცემა.

8. ცენტრი ვალდებულია უზრუნველყოს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.

9. წარმოდგენილი **განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:**

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და რეგისტრაციის მისამართს;

გ) განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

10. განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების

დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, გარდა ამ მუხლის 5.4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

დ) ფორმალური განათლების აღიარებისათვის საჭირო საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

